



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ბულაძე გიორგი ივანეს ძე

ბულაძე გიორგი ივანეს ძე (დ. 3. I. 1914, სოფ. ფხვენისი, ახლანდ. გორის რ-ნი), ხალხური მომღერალი. საქართველო. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1987). ბ. თვითნასწავლი მუსიკოსია. ხალხ. სასიმღერო ხელოვნებას მამისეულ ოჯახში ეზიარა. 1940 დაამთავრა საქართველო. ხალხ. შემოქმედების რესპ. სახლთან არსებული ლოტბართა კურსები. 1935-იდან დაიწყო მოღვაწეობა როგორც მომღერალმა და ლოტბარმა. ასრულებს როგორც ხალხ., ისე ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებსაც. მის რეპერტუარშია მრავალხმოვანი და სოლო სიმღერები. მრავალხმიან სიმღერებში („ჩაკრულო“, „მრავალხმიანი“, „გამთარი“ და სხვ.) ასრულებს მთქმელისა და მოძახილის პარტიებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბ-ის მიერ ფანდურზე დამღერებული სოლო სიმღერები, რ-ებიც გამოირჩევა წმინდა ხალხ. მანერით, ვაჟკაცური ხასიათითა და ოპტიმისტური სულისკვეთებით. ბ. მრავალი სიმღერის ავტორიცაა („დედა“, „სატრფიალო“, „გამარჯვების სიმღერა“; საკუთარ ტექსტზე დაწერილი „სიმღერა რუსთაველზე“, „ჩვენ მშვიდობა გვინდა“, „მარად იცოცხლებს“ და სხვ.). საყოველთაო აღიარება მოიპოვა ბ-ის სიმღერებმა „ბიჭო, იქნებ პაპა იყო შენი“ (ი. ნონეშვილის ლექსზე), „სიმღერა კაპიტან ბუხაიძეზე“ (ი. აბაშიძის ლექსზე) და სხვ. 1960-იდან ბ. ხელმძღვანელობს თბილ. ვაჭრობის მუაკთა კულტ. სახლთან არსებულ ომისა და შრომის ვეტერანთა ანსამბლს. იგი II მსოფლიო ომის მონაწილეა. მიღებული აქვს სახელმწ. მ. შ. საბრძოლო ჯილდოები.

---